ხელშეკრულება №246/19-4
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

შპს "ენგურჰესი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი. ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8, (ფაქტიური მდებარეობა გალის რ-ნი, დას. საბერიო) შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი - დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის - ლევან მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად ერთის მხრივ და

ი/მ „მალხაზ ბოლქვაძე“, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის რაიონში, მუხიანის II მ/რ კორპ. 7, ბ.12, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მეორეს მხრივ ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, შპს ,,ენგურჰესის” მიერ 2018 წელს განსახორციელებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვების ბიზნეს-გეგმის თანახმად წინამდებარე ხელშეკრულებით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ,,შემსყიდველი" ავალებს, ხოლო ,,მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საკუთრებაში **– დანართ №1-ში მითითებული დასახელებისა და ოდენობის საქონელი.**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს : 278 (ორას სამოცდათვრამეტ) ლარს. ერთეულის ფასი მითითებულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყონებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება ან ახლით შეცვლა.

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბ) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება.

4. ინსპექტირება

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

4.2. ინსპექტირებას განახორციელებს: შპს ,,ენგურჰესი“-ს თ/კაშხლის შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის სპეციალისტი - ბ. მებონია.

4.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელიც ფორმდება წერილობითი ფორმით. მიღება-ჩაბარების აქტს ადგენს მუდმივმოქმედი კომისია, საქონლის საბოლოო მიღების ადგილზე, შპს "ენგურჰესი"-ს თ/კაშხლის სასაწყობე მეურნეობაში.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა -უნაღდო.

6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულების პირობების შესრულება

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს. შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.2 თუ რამე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. დავების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

11.2 ხელშეკრულებების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დარჩენილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ბოლო კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის განთავსების დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებისა და დაუდევრობისაგან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს- მაჟორული გარემოება. დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ

შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და აქვს იურიდიული ძალა.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "ენგურჰესი"	**ი/მ ,,მალხაზ ბოლქვაძე“**
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი.	იურიდიული მის. ქ. თბილისი,
ა. პოლიტკოვსკაიას №8	კოსმონავტების სანაპ. 25. საწყ. უბანი ქ.12
სს ,,ვი თი ბი ბანკი ჯორჯია''	სს ,,თიბისი ბანკი“
ბ/კ UGEBGE22 ს/კ 251716371	ს/კ 01003002536
ა/ა GE97VT6600000003403403	ა/ა GE15TB7253436010100005
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	ინდ. მეწარმე
_____ ლ. მებონია	---------- მ. ბოლქვაძე

Levan Mebonia Digitally signed by Levan Mebonia Date: 2019.06.03 17:31:35 +04'00'

ვიზა:

ფინანსური სამსახური Zviad Kilasonia Digitally signed by Zviad Kilasonia Date: 2019.06.03 17:16:16 +04'00'

შესყიდვების სამსახური Vakhtang Molashkhia Подписано цифровой подписью: Vakhtang Molashkhia Дата: 2019.06.03 16:06:25 +04'00'

იურიდიული სამსახური Medea Korsantia Подписано цифровой подписью: Medea Korsantia Дата: 2019.06.03 16:24:10 +04'00'

დანართი N1

საქონლის ჩამონათვალი

№	საქონლის დასახელება	კლასიფ. კოდი	განზ	რაოდ	ერთ. ფასი	საერთ. ფასი
1	გორგოლაჭი 25 სმ	CVP-39224210	ცალი	15	8	120.00
2	გორგოლაჭი 10 სმ	CVP-39224210	ცალი	6	2.5	15.00
3	ფუნჯი სამღებრო დიდი	CVP-39224210	ცალი	5	5	25.00
4	ფუნჯი სამღებრო საშუალო	CVP-39224210	ცალი	30	3	90.00
5	რკინის ჯაგრისი	CVP-39224200	ცალი	16	1.75	28.00
					ჯამი:	**278.00**

"შემსყიდველი"

შპს "ენგურჰესი"

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ლ. მებონია

Levan Mebonia

Digitally signed by Levan Mebonia
Date: 2019.06.03 17:32:51 +04'00'

"მიმწოდებელი"

ი/მ "მალხაზ ბოლქვაძე"

ინდ.მეწარმე

მ. ბოლქვაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, №246/19-4 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, ი/მ "მალხაზ ბოლქვაძე"-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს "ენგურჰესი"-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	Levan Mebonia Digitally signed by Levan Mebonia Date: 2019.06.03 17:32:09 +04'00'	ლ. მებონია
შპს ,,ენგურჰესი“-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსი	Vakhtang Molashkhia Подписано цифровой подписью: Vakhtang Molashkhia Дата: 2019.06.03 16:07:00 +04'00'	ვ. მოლაშხია
შპს ,,ენგურჰესი“-ს თ/კაშხლის შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის სპეციალისტი	Bezhan Mebonia Digitally signed by Bezhan Mebonia Date: 2019.06.03 17:08:41 +04'00'	ბ. მებონია